სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

მაისი № 10

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-52

instruqcia / **Instructions** ----------53-59

auqcioni / **Auction** ---------- 60

gadasaxadebi #10, 2018

GADASAKHADEBI #10, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005, მუხ. 264) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^5 პუნქტი:

„2^5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიით განსაზღვრულ საქმიანობაზე, როდესაც სასარგებლო წიაღისეულის – მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.“.

2. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26^1 პუნქტი:

„26^1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა.“.

3. 25-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით, გარდა ამ კანონის 26^2, 26^3 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, გარდა ამ კანონის 26^1–26^3 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვის მაძიებელია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა, ბიუჯეტში მისი გადახდის, აგრეთვე ნებართვის მაძიებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით. დამატებითი თანდართული საბუთები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.“.

4. 26-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნებართვის გამცემი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და ამ კანონის შესაბამისად, გარდა ამავე კანონის 26^1–26^5 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26^5 მუხლი:

„მუხლი 26^5. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის წესი

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვას გასცემს საქართველოს დედაქალაქის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი საქართველოს დედაქალაქის მერიის სტრუქტურული ერთეული. ნებართვის მაძიებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემისას მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

2. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს ამტკიცებს საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო.

3. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში.“.

6. 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ კანონის 26^2 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის ფასს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. 32-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება კანონით ან ამ კანონის 26^1, 26^2 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, ხოლო ამ კანონის 26^3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. ნებართვის მოქმედების განსაზღვრული ვადა ავტომატურად გრძელდება (გარდა ამ კანონის 26^1–26^3 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თუ ამ ნებართვასთან დაკავშირებული სანებართვო პირობები არ შეცვლილა და ნებართვის მფლობელი წარადგენს წერილობით განცხადებას და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.

6. ნებართვა, გარდა ამ კანონის 26^3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როგორც წესი, გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. კანონით ან ამ კანონის 26^1, 26^2 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ შეიძლება დაადგინოს ნებართვის მოქმედების განსაზღვრული ვადა. ვადის დადგენისას გაითვალისწინება სანებართვო ქმედების არსი ან/და განსახორციელებელი ტექნიკური პროცესები.“.

8. 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-2–მე-7 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის 26^2, 26^3 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

9. ამ კანონის 26^2, 26^3 და 26^5 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სანებართვო პირობების კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრისა უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2262-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) დანართის („შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით“) ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 33^1 გრაფა:

„

3^1	შემოსულობა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემიდან			100

“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2265-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე მდგომარეობით, შემოსავლები – დეკლარაციის შევსების წლის წინა წლის მდგომარეობით, ხოლო საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშები ან/და შენატანები, რომელთა განკარგვის უფლებაც აქვს თანამდებობის პირს ან მისი ოჯახის წევრს, – მისი შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მონაცემები თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხის შესახებ, რომლის ოდენობაც აღემატება 4 000 ლარს, შეიტანება დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით.“.

2. 18^1 მუხლის:

ა) მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ.“;

ბ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^1 პუნქტი:

„13^1. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ გადაწყვეტილებას ბიურო იღებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შემდეგი ცდომილებების არსებობისას:

ა) საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობის შემთხვევაში დეკლარაციაში მითითებული საცხოვრებელი ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 40 კვ. მ-ისა; არასაცხოვრებელი ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 20 კვ. მ-ისა; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 10%-ს, მაგრამ არაუმეტეს 100 კვ. მ-ისა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართობის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 500 კვ. მ-ისა; უძრავი ქონება შეცდომით მითითებულია თანამდებობის პირის ოჯახის წევრის საკუთრებად ან/და თანამდებობის პირია მითითებული იმ ქონების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მესაკუთრედ, რომლის მესაკუთრეც მისი ოჯახის წევრია, აგრეთვე მითითებულია არასწორი ინფორმაცია თანამესაკუთრის შესახებ;

ბ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში ანგარიშის ან/და შენატანის არსებობის შემთხვევაში, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, არსებული ნაშთის/ნაშთების გრაფაში ჯამური ცდომილებაა არაუმეტეს 500 ლარისა; საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, დეკლარირებული არ არის, თუმცა ვლინდება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მასზე ბრუნვა არ დაფიქსირებულა ან სხვა სახის საბანკო ტრანზაქცია არ განხორციელებულა ან ფიქსირდება ბრუნვა, მაგრამ არაუმეტეს 100 ლარისა;

გ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში საწარმოს საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობის და არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში მითითებული არ არის საწარმო, რომელშიც თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მონაწილეობს და რომელსაც დეკლარაციის შევსების თარიღამდე 5 წლის ან 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონია და ტრანზაქცია არ განუხორციელებია ან ფიქსირდება ბრუნვა წლის განმავლობაში არაუმეტეს 100 ლარისა;

დ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში დეკლარაციაში მითითებულ ანაზღაურებასა და რეალურ მონაცემებს შორის ცდომილებაა არაუმეტეს 500 ლარისა;

ე) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ ნებისმიერი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგის დაანგარიშებისას აღმოჩენილი ცდომილებაა არაუმეტეს 1000 ლარისა.“.

3. მე-20 მუხლის:

ა) 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. ამ კანონის 18^1 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, ხოლო ის პირი, რომელიც გათავისუფლდა თანამდებობიდან, – თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.“;

ბ) 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1^2. ამ კანონის 18^1 მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირს ეძლევა გაფრთხილება, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.“;

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. გაფრთხილების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მომდევნო მონიტორინგის განხორციელებისას დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ბიურო იღებს ამ კანონის 18^1 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2272-IIს

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 09.08.2010, მუხ. 312) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 3^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში განკარგულ სახელმწიფო ქონებაზე.“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„7. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში განკარგულ სახელმწიფო ქონებაზე.“.

3. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში გადაცემულ სახელმწიფო ქონებაზე.“.

4. 42-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ამ მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში განკარგულ სახელმწიფო ქონებაზე.“.

5. 45^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ამ მუხლის მე-5, მე-8 და მე-9 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში განკარგულ სახელმწიფო ქონებაზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2274-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:

ა) 3^1 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ ქვეპუნქტი:

„ფ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვებზე.“;

ბ) 3^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^2 და 3^3 პუნქტები:

„3^2. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კონტრაქტორის შერჩევა განხორციელდება ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო შესყიდვის წესების საფუძველზე, იმ პირობით, რომ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კონტრაქტორის შერჩევის პროცესზე არ გავრცელდება ამ კანონის მე-9 მუხლის, 16^1 მუხლის 1^1, მე-2 და მე-7 პუნქტებისა და IV და V თავების მოქმედება.

3^3. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კონტრაქტორის შერჩევის პროცესთან (შემდგომ – შერჩევის პროცესი) დაკავშირებული დავა განიხილება ამ კანონის VI თავით დადგენილი წესით.“.

2. მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფა;“.

3. VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვასთან და შერჩევის პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების/ქმედებების გასაჩივრებისა და დავების განხილვის წესი“.

4. 23-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დავების განხილვის საბჭო“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. ელექტრონული ტენდერის, კონკურსის ან შერჩევის პროცესის ჩატარებისას წარმოშობილი დავის სწრაფად, ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით ამ კანონის საფუძველზე იქმნება მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო – დავების განხილვის საბჭო (შემდგომ – საბჭო), რომელიც არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს ან/და თანამდებობის პირს. საბჭოს თავმჯდომარეობს სააგენტოს თავმჯდომარე, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ნაწილში საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ხოლო შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავის განხილვის წესი – „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავის განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საბჭოს საქმიანობას ტექნიკურად უზრუნველყოფს სააგენტო.“.

5. 23[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23[1]. გადაწყვეტილების/ქმედების საბჭოში გასაჩივრებისა და დავის განხილვის წესი

1. ელექტრონულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს უფლება აქვს, შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ ქმედება ამ მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საბჭოში.

2. შერჩევის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის (შემდგომ – უფლებამოსილი ორგანო/შესარჩევი კომისია) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გადაწყვეტილება/ქმედება ამ მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საბჭოში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სატენდერო/ საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გასაჩივრების უფლება აქვთ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველსა და პრეტენდენტს. პრეტენდენტს უფლება აქვს, გაასაჩივროს ელექტრონულ ტენდერში/კონკურსში პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება, თუ მიაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვის პროცესში დაირღვა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები და შეილახა მისი უფლებები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება არ გასაჩივრდება, თუ პრეტენზია შეეხება:

ა) სახელმწიფო შესყიდვის საშუალების ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შერჩევას;

ბ) სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

5. საბჭოსთვის საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურები ჩერდება ავტომატურად, საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე. სახელმწიფო შესყიდვის პროცესი ჩერდება ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია/ უფლებამოსილი ორგანო/შესარჩევი კომისია ვალდებულია არ მიიღოს გადაწყვეტილება ან არ განახორციელოს ქმედება გასაჩივრებულ სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის ვადაში. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების შეჩერების პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხოლო შერჩევის პროცესიდან გამომდინარე საჩივრის დასაშვებად ცნობისა და შერჩევის პროცესის შეჩერების პირობები – „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავის განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

6. საბჭოსთვის წარსადგენ საჩივარს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი. საბჭოსთვის წარსადგენი საჩივრის ფორმა, მისი შევსების წესი, საჩივრის წარდგენის ვადა და პირობები (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული შემთხვევისა) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ხოლო შერჩევის პროცესის შემთხვევაში – „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავის განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით წარდგენილ საჩივარს საბჭო არ განიხილავს. საბჭოს საჩივარი წარედგინება ელექტრონულად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

7. საბჭოსთვის საჩივრის წარსადგენად, გარდა სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გასაჩივრებისა, დგინდება საჩივრის წარდგენის საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტთან დაკავშირებული საჩივრის შემთხვევაში – პროექტის სავარაუდო ღირებულების 0,15%-ს, მაგრამ არანაკლებ 22 000 და არაუმეტეს 150 000 ლარისა. საჩივრის წარდგენის საფასური ბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება. საჩივრის წარდგენის საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. საბჭო იღებს დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას და აქვეყნებს მას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვის პროცესთან დაკავშირებული საჩივრის შემთხვევაში – საჩივრის დასაშვებად ცნობიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტთან დაკავშირებული საჩივრის შემთხვევაში – საჩივრის მისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა, რაც გადაწყვეტილების ოფიციალურ გაცნობად ითვლება.

9. თუ საბჭო საჩივრისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს საჩივარს, იგი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველ ორგანიზაციას/უფლებამოსილ ორგანოს/შესარჩევ კომისიას მიუთითოს მის არასწორ ქმედებაზე და მოსთხოვოს სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;

ბ) შემსყიდველ ორგანიზაციას/უფლებამოსილ ორგანოს/შესარჩევ კომისიას მოსთხოვოს მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ან გაუქმება;

გ) სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის მონაწილის მიერ ამ კანონის ან/და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი პასუხისმგებლობის საკითხი.“.

6. 23^3 და 23^4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 23^3. გადაწყვეტილების/ქმედების სასამართლოში გასაჩივრება**

1. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, პრეტენდენტს, მიმწოდებელს ან შერჩევის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის/უფლებამოსილი ორგანოს/შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

2. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განხორციელებული ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩივრდება სასამართლოში.

3. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, პრეტენდენტს, მიმწოდებელს ან შერჩევის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, მის საჩივართან დაკავშირებული საბჭოს ან შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

4. საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 23[4]. **ზარალის ანაზღაურება**

იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ამ თავით გათვალისწინებული განხილვის შედეგად შეიძლება აუნაზღაურდეს მომჩივანს, უნდა შემოიფარგლოს სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებით და არ უნდა ითვალისწინებდეს სავარაუდო მოგების ანაზღაურებას.“.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედების მიზნით საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესიდან გამომდინარე დავის განხილვის წესის“ დამტკიცება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 **წ.**

N2275-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13, 02.07.2009, მუხ. 63) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს:

ა) პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის;

ბ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2276-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 22-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.“.

2. 48-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

ა) შესაბამის მიმართულებაში, დარგში/სპეციალობაში ან/და ქვედარგში/სპეციალიზაციაში ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებს მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის;

ბ) სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა);

გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

დ) პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.

5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით.“.

3. 79-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}“ ქვეპუნქტი:

„ე^{1}) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება;“.

4. 89^{10} მუხლი ამოღებულ იქნეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში შესატანი ცვლილების პროექტის შემუშავება და შესაბამისი სამინისტროსათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2320-IIს

საქართველოს კანონი

საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ტყის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28(35), 1999 წელი, მუხ. 148) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-11 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქართველოს ტყის ფონდის ეროვნული აღრიცხვისა და სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის ორგანიზება, ტყის მონიტორინგისა და სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 23^1 მუხლი:

„მუხლი 23^1 .საქართველოს ტყის ფონდის ეროვნული აღრიცხვა

1. საქართველოს ტყის ფონდის ეროვნული აღრიცხვის მიზანია საქართველოს ტყეებისა და მათი რესურსების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, ტყეების მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგი და ტყეებთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ საერთაშორისო ანგარიშგება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. საქართველოს ტყის ფონდის ეროვნული აღრიცხვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად ტერიტორიის საკუთრებისა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკუთრებასა და კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, შეიძლება განახორციელოს სამინისტრომ ტერიტორიის მესაკუთრესთან შეთანხმებით.

3. საქართველოს ტყის ფონდის ეროვნული აღრიცხვა სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ან იურიდიული პირის სახსრებით.

4. საქართველოს ტყის ფონდის ეროვნული აღრიცხვის წესი განისაზღვრება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესით“.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

4 მაისი 2018 წ.

N2325-IIს

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №208

2018 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 480180000.10.003.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები**:

„11. „შტამპი „ვადის გაგრძელება“ (დანართი №11).

12. „შტამპი „იხილეთ დანართი“ (დანართი №12).“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემის“ (დანართი №1)**:

ა) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სანიტარიული დამუშავების ზომებისადმი დაქვემდებარების, გამოყენებული მეთოდებისა და მათი გამოყენების მიზეზების შესახებ წერილობითი ფორმით მიეწოდება საჰაერო ხომალდის პასუხისმგებელ პირს, ხოლო გემის შემთხვევაში აღინიშნება გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში და „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10). ამასთან, „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ შევსების შემთხვევაში გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაზე დაისმება შტამპი „იხილეთ დანართი“ (დანართი №12), რაც ადასტურებს გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობასთან ერთად „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ არსებობას.“;

ბ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გემის შემთხვევაში – აღმოჩენილი ფაქტები და კონტროლის აუცილებელი ღონისძიებები აღინიშნება გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში, ასევე მიეთითება „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10), გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის დაფიქსირებით. ამასთან, „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ შევსების შემთხვევაში გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაზე დაისმება შტამპი „იხილეთ დანართი“ (დანართი №12), რაც ადასტურებს გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობასთან ერთად „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ არსებობას;“;

გ) მე-20 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლებისა და გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის მოქმედების მაქსიმალური ვადა შეადგენს ექვს თვეს. თუ გათვალისწინებული ინსპექტირების ან კონტროლის ღონისძიებების განხორციელება ვერ ხერხდება გემის შემოსვლის ნავსადგურში, აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი თვით. ვადის გაგრძელების შემთხვევაში მოწმობაზე დაისმება შტამპი „ვადის გაგრძელება“ (დანართი №11).“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ კონტროლის ღონისძიებების ჩატარების პირობები ისეთია, რომ ამ პროცედურების განმახორციელებელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის აზრით დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა შეუძლებელია, იგი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში და ავსებს „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმას“ (დანართი №10), გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის მითითებით. ამასთან, „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ შევსების შემთხვევაში, გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაზე დაისმება შტამპი „იხილეთ დანართი“ (დანართი №12), რაც ადასტურებს გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობასთან ერთად „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ არსებობას.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ (დანართი №2):

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ გემზე აღმოჩნდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში რისკები (ინფექციისა და კონტამინაციის წყარო, გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით) და ჩატარებული პროცედურებით მიღწეულია დამაკმაყოფილებელი შედეგები. აღმოჩენილი რისკები და გატარებული ღონისძიებები უნდა აისახოს მოწმობასა და „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10). ამასთან, „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ შევსების შემთხვევაში, გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაზე დაისმება შტამპი „იხილეთ დანართი“ (დანართი №12), რაც ადასტურებს გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობასთან ერთად „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ არსებობას.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დარღვევების არსებობისას, უფლებამოსილი პირი დამატებით ავსებს „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმას“ (დანართი №10), „ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებზე“ დაფუძნებული „გემის ინსპექტირებისა და გემის სანიტარიული სერტიფიკატის გაცემის“ სახელმძღვანელოს მიხედვით, გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის მითითებით. ამასთან, „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ შევსების შემთხვევაში, გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაზე დაისმება შტამპი „იხილეთ დანართი“ (დანართი №12), რაც ადასტურებს გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობასთან ერთად „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმის“ არსებობას.“.

4. დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №10-ის შემდეგ დაემატოს თანდართული შინაარსის დანართი №11 და დანართი №12.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №11

ვადის გაგრძელება

Extension

წინამდებარე მოწმობის ვადა გახანგრძლივებულია და იგი მოქმედებს

----/---/----- (დღე/თვე/რიცხვი) - მდე (მაქსიმუმ 30 დღე, მოწმობის ვადის გასვლის შემდეგ)

The validity of this certificate has been extended till ----/---/---- (dd/mm/yyyy) (max.30 days after expiry date)

პორტის --------- კომპეტენტური ორგანო

by the competent authority in the Port of

--------თარიღი და ხელმოწერა

Date and signature

დანართი №12

იხილეთ დანართი

See attachment

წინამდებარე მოწმობას ახლავს დანართი, რომელიც დართულია პორტის ----- კომპეტენტური ორგანოს მიერ

A document has been attached to this certificate by the competent autority in the Port of -------

დანართი შედგება ---------- გვერდისაგან

Attachment consists of pages

თარიღი და ხელმოწერა

Date and signature

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №212

2018 წლის 11 მაისი, ქ. თბილისი

„ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №205 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №205 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/04/2017, 010320000.10.003.019914) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმის“:

1. **მე-5 მუხლის 5.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება, გარდა:“.

2. **მე-7 მუხლის 7.1 – 7.3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7.1. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში და შეადგენს --- ლარს.

7.2. შრომის ანაზღაურება ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეძლევა.

7.3. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება თანამდებობა, შრომის ანაზღაურება და აუნაზღაურდება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №214

2018 წლის 11 მაისი, ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის (დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ):

1. **მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„6. სამეანო და ნეონატალური მომსახურების მიმწოდებელი ყველა სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია, 2018 წლის 1 იანვრამდე თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ამ დანართით განსაზღვრულ პირობებთან და 2018 წლის 1 სექტემბრამდე მოიპოვოს ნებართვის დანართი – „სამეანო-ნეონატალური მომსახურება“, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესის გათვალისწინებით.

7. სამეანო და ნეონატალური მომსახურების მიმწოდებელი იმ სტაციონარული დაწესებულებებისათვის, რომელთაც:

ა) პერინატალური რეგიონალიზაციის დონე (გარდა საბაზისო (I) მოვლის დონისა) მიენიჭათ 2017 წლის 1 ივლისამდე, ნებართვის დანართი – „სამეანო-ნეონატალური მომსახურება“ გაიცემა პერინატალური რეგიონალიზაციის დონის განმსაზღვრელი შესაბამისი დოკუმენტის (მოწმობა) მოპოვებისა და სხვა სათანადო დამატებითი სანებართვო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ;

ბ) პერინატალური რეგიონალიზაციის დონე მიენიჭათ 2017 წლის 1 ივლისის შემდეგ, ნებართვის დანართი – „სამეანო-ნეონატალური მომსახურება“ გაიცემა პერინატალური რეგიონალიზაციის დონის განმსაზღვრელი შესაბამისი დოკუმენტის (მოწმობა) საფუძველზე, სხვა სათანადო დამატებითი სანებართვო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ.“.

2. **№2[1] დანართის (სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები)**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) „საერთო სანებართვო პირობების“ 20^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20^2	სტაციონარში (მ.შ. გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა (EMERGENCY) და მიმღებ ერთეულში) მოხვედრილი ყველა პაციენტისათვის, მიუხედავად მათი დაყოვნებისა, უზრუნველყოფილია, C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით, სწრაფი მარტივი ტესტირება ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით კვლევის ჩატარება და ანგარიშგება	**შენიშვნა:** გამონაკლისს წარმოადგენენ პაციენტები, რომლებიც: ა) რეგისტრირებულნი არიან ან გადიან ანტივირუსული მკურნალობის კურსს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში; ბ) დასრულებული აქვთ ანტივირუსული მკურნალობის კურსი (მ.შ. შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში), რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტირებული მტკიცებულებით; გ) ბოლო 6 თვის განმავლობაში ჩატარებული აქვთ დიაგნოსტიკური კვლევა C ჰეპატიტზე, რაც დასტურდება სკრინინგის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მონაცემებით; დ) ჩატარებული აქვთ დიაგნოსტიკური კვლევა C ჰეპატიტზე და დადგენილი აქვთ დადებითი შედეგი, რაც დასტურდება სკრინინგის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მონაცემებით; ე) 18 თვემდე ასაკის ბავშვები.“;

ბ) XV5 თავის (მიკრობიოლოგიური ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სერვისის მიწოდების შემთხვევაში, სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3	სივრცე, სადაც წარმოებს კულტივირება, იდენტიფიკაცია, ანტიბიოტიკომრგძნობელობის განსაზღვრა, აღჭურვილი უნდა იყოს: ა) ბიოუსაფრთხოების ბოქსით ან კაბინით (მ.შ. ლამინარული ჰაერის ნაკადით); ან ბ) ბაქტერიოციდული ნათურებით, ვენტილაციითა და პერსონალური დაცვის საშუალებებით	ა) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს იზოლირებული სივრცის არსებობა; ბ) აღნიშნულ სივრცეში (მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში) შესაძლებელია, წარმოებდეს საკვები ნიადაგის ჩამოსხმა, თუ დაცული იქნება გარემო ზედაპირების სათანადო რეჟიმით დამუშავება (მექანიკური დასუფთავება, გარემოს გაუვნებელყოფა), ჰაერისა და მაგიდის ზედაპირების მიკრობული მოთესვიანობის რეგულარული კონტროლით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №216

2018 წლის 11 მაისი, ქ. თბილისი

„თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/04/2016, 300160070.10.003.019250) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“:

1. **მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს ექსპორტისთვის განკუთვნილი თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის გულის დამზადებას, ვალდებულია, დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP – Hazzard Analysis and Critical Control Points) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად.“.

2. **მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს**.

3. **მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„9. გაუტეხელი თხილის (თხილი ნაჭუჭით), თხილის გულის და/ან გადამუშავებული თხილის გულის ნიმუშის დიდი ზომის შეფუთვებიდან ხდება ნიმუშების აღება და შერევა – გაერთიანებული ნიმუშის ფორმირება. დიდი ზომის შეფუთვის ერთეულების რაოდენობა, საიდანაც ხდება გაერთიანებული ნიმუშის ფორმირება და ნიმუშის წონა განისაზღვრება გამოსაკვლევ მაჩვენებლებზე ნიმუშის აღების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტისა და სტანდარტებით განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. თხილის ექსპორტისას:

ა) ბიზნესოპერატორი ვალდებულია, პარტიის ფორმირების დასრულების შემდეგ განახორციელოს შესაბამისობის შეფასების პროცედურები;

ბ) ბიზნესოპერატორმა უნდა მიმართოს სააგენტოს და სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით აიღოს ნიმუში ლაბორატორიული კვლევისთვის;

გ) ნიმუშის აღების დასრულებისთანავე, სააგენტო ახდენს დიდი ზომის შეფუთვის დალუქვას;

დ) ბიზნესოპერატორმა ლაბორატორიული კვლევის შედეგები უნდა წარუდგინოს სააგენტოს;

ე) რეფერენტული გამოცდისათვის ნიმუში აღებული უნდა იქნეს სააგენტოს მიერ, რომელიც ინახება პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე.“.

5. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 პუნქტი:

„11^1. მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ლაბორატორიული კვლევისთვის საექსპორტო თხილის მაჩვენებლებს, ასევე ნიმუშის აღების სიხშირეს განსაზღვრავს სააგენტო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №217

2018 წლის 11 მაისი, ქ. თბილისი

„სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2018, 470200000.10.003.020320) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (პროგრამული კოდის – 35 01 02 03 ფარგლებში), პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარს:

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა	თანხა(ლარებში)
სამკურნალო საშუალებების ნიმუშების შესყიდვა	7 000
მივლინების ხარჯები	10 000
სამკურნალო საშუალებების ხარისხის ლაბორატორიული კვლევა	103 000
სულ:	**120 000**

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №220

2018 წლის 11 მაისი, ქ. თბილისი

„საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №182

2018 წლის 14 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი;“.

2. 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას;“.

3. 34-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას;“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანისას, ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას, ან შიდა გადამუშავებისას იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების გადახდა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარანტიით სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის მთელი ვადის განმავლობაში.“.

4. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილი საქონლის, ან საქართველოს მოქალაქის მიერ იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით დროებით შემოტანილი სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) რეექსპორტით გატანისას საბაჟო დეკლარაციის კონტროლიდან მოხსნა, ან სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრა ან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით განსაზღვრული განკარგვის ღონისძიების განხორციელება;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ.ე) დროებითი შემოტანის – „34“, ამასთან, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას, სასაქონლო ოპერაციის კოდის შემდეგ მიეთითება – „/“ და შემდეგ გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდი ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.“.

6. 84-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აქციზური საქონელი (საგადასახადო კოდექსის 188-ე და 188^1 მუხლების შესაბამისად), გარდა სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილებისა, 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლებისა (მოპედების ჩათვლით) და ამ მუხლის „ბ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თამბაქოსი და ალკოჰოლური ნაწარმისა;“.

7. 86-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი.გ) სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილი ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლი (მოპედის ჩათვლით), რომელიც რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილია საქართველოს მოქალაქის მიერ და წარდგენილია გარანტია;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №183

2018 წლის 14 მაისი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

727	4367	ა(ა)იპ – ლანჩხუთის ტექსერვისი
736	4376	ა(ა)იპ – ლანჩხუთისერვისი
879	4519	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
880	4520	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009"
881	4521	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი
883	4523	ა(ა)იპ – ხარაგაულკეთილმოწყობა
884	4524	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
887	4527	ა(ა)იპ – ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი
889	4529	ა(ა)იპ – ხ არაგაულდასუფთავება
893	4533	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი
894	4534	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რ. თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბიუჯეტის განმკარგველი – 1090 – ა(ა)იპ – „აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის ცენტრი“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1090	4730	ა(ა)იპ – „აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი“

3. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

1091	4731	აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვნების სკოლა

4. ბიუჯეტის განმკარგველის – 1426 – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ვეფხვები“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1427	5067	ა(ა)იპ – „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“
1428	5068	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“
1429	5069	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“
1430	5070	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – „დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანება“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №196

2018 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., N169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

654	4294	ა(ა)იპ – ქალაქ ქუთაისის მერიის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლე

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 1430 – „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1431	5071	ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – სარაგბო კლუბი „აიეტი“
1432	5072	ქალაქ ბათუმის ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
1433	5073	ქალაქ ბათუმის ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო

2. დანართი №3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3550 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში სამართალდარღვევების გამო“ – შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი შემდეგი კოდი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სსიპ – კონკურენციის სააგენტოს მიერ გამოვლენილ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დარღვევებზე	3551

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №01-22/ნ - №202

2018 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი

„სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდული იმ საქონლის ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის №01-69/ნ/№451 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდული იმ საქონლის ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის №01-69/ნ/№451 ერთობლივ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15/12/2017, 470230000.22.035.016478) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე“.

2. **პირველი მუხლის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„განისაზღვროს სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი იმ საქონლის ნუსხა, რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე, შემდეგი სახით:“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №203

2018 წლის 28 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **მე-5 მუხლის** 1^2 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1^2. ამ ინსტრუქციის №II-04 და №II-05 დანართებით გათვალისწინებული საქონლის, ორგანოთერაპიისათვის განკუთვნილი ორგანოების, თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებისათვის განკუთვნილი ადამიანური ან ცხოველური წარმოშობის ნივთიერებების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, საფოსტო გზავნილების, სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის, წინასწარ დეკლარირებული საქონლის, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონლის, „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (ADR) 3.2. თავის A ცხრილით გათვალისწინებული საქონლის, არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) ტვირთის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში გადაადგილებული საქონლის, დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის, დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებები ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.“.

2. **მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ექსპორტში/რეექსპორტში/გარე გადამუშავებაში/საწყობის სასაქონლო ოპერაციიდან ტრანზიტში დეკლარირებული, აგრეთვე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის წარდგენით რეექსპორტში დეკლარირებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტს უნდა წარედგინოს დეკლარაციის/საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.“.

3. №II-03 **დანართის შემდეგ დაემატოს** №II-04 **და** №II-05 **დანართები თანდართული რედაქციით**.

4. 23-**ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 23[1] **მუხლი**:

„**მუხლი** 23[1]. **პრიორიტეტები საქონლის გაფორმებისას**

ამ ინსტრუქციის №II-04 და №II-05 დანართებით გათვალისწინებული საქონლის, ორგანოთერაპიისათვის განკუთვნილი ორგანოების, თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებისათვის განკუთვნილი ადამიანური ან ცხოველური წარმოშობის ნივთიერებების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის, წინასწარ დეკლარირებული საქონლის, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონლის, „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (ADR) 3.2. თავის A ცხრილით გათვალისწინებული საქონლის, არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) ტვირთის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში გადაადგილებული საქონლის, დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის, დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის გაფორმება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 28 მაისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №II-04

მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და გაფორმების პროცედურები ხორციელდება პრიორიტეტული წესით

სეს ესწ კოდი	პოზიციის დასახელება
ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი	
0601	ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციური სიმშვიდის, ვეგეტაციისა ან ყვავილობის მდგომარეობაში; მცენარეები და ვარდკაჭაჭას ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარდა:
0602	დანარჩენი ცოცხალი მცენარეები (მათი ფესვების ჩათვლით), კალმები და გადანაწვენები; გარდა სოკოს მიცელიუმისა
0603	მოჭრილი ყვავილები და კოკრები, თაიგულების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი, ახალი; გარდა გამხმარის, შეღებილის, გათეთრებულის, გაჟღენთილის ან სხვა ხერხით მომზადებულისა
0604	ფოთლები, ტოტები და მცენარეების სხვა ნაწილები უყვავილებოდ და უკვირტებოდ, ბალახები, ხავსი და ლიქენი, თაიგულების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი, ახალი; გარდა გამხმარის, შეღებილის, გათეთრებულის, გაჟღენთილის ან სხვა ხერხით მომზადებულისა
ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	
0701	კარტოფილი ახალი ან გაცივებული
0702 00 000 00	პომიდორი ახალი ან გაცივებული
0703	ხახვი, თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, ქეჟერა კომბოსტო და *Brassica* გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0705	სალათა – ღორის ქადა *(Lactuca Sativa)* და ვარდკაჭაჭა *(Cichorium* spp.*)*, ახალი ან გაცივებული
0706	სტაფილო, თალგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი და გაცივებული
0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი, ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული; გარდა გაყინულის ან ხმელისა, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
ჯგუფი 08. საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი. ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი	
0803 -დან	ბანანი, ახალი
0804 -დან	ფინიკი, ლეღვი, ანანასი, ავოკადო, გუაიავა, მანგო და მანგოსტანი, ანუ გარცინია, ახალი
0805-დან	ციტრუსები, ახალი
0806-დან	ყურძენი, ახალი
0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოშო, ახალი
0810	ხილი დანარჩენი, ახალი

„დანართი №II-05

ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის საქონლის ნუსხა, რომელთა მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და გაფორმების პროცედურები ხორციელდება პრიორიტეტული წესით

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება	განმარტებები
1	2	3
01 ჯგუფიდან	**ცოცხალი ცხოველები**	
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები ცოცხალი	ყველა
0102	მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები, ცოცხალი	ყველა
0103	ღორები ცოცხალი	ყველა
0104 10	ცხვრები ცოცხალი	ყველა
0104 20	თხები ცოცხალი	ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები	ყველა
0106	ცოცხალი ცხოველები დანარჩენი:	ყველა
0106 11 00	პრიმატები	ყველა
0106 12 00	ვეშაპები, დელფინები და ზღვის გოჭები (ძუძუმწოვრები Cetacea რიგისა); ლამანტინები და დიუგონები (ძუძუმწოვრები Sirenia რიგისა) სელაპები, ზღვის ლომები და ლომვეშაპები (ძუძუმწოვრები Pinnipedia ქვერიგისა)	ყველა
0106 13	აქლემები და სხვა აქლემებისნაირნი	ყველა
0106 14	ბოცვერები და კურდღლები	ყველა
0106 14 10	ბოცვრები შინაური	ყველა
0106 14 90	დანარჩენი	ბოცვერი და კურდღელი, შინაური ბოცვრის გარდა
0106 19	დანარჩენი	ძუძუმწოვრები, 0101, 0102, 0103, 0104, 0106 12, 0106 13 და 0106 14 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა; მოიცავს ძაღლებს და კატებს
0106 20 00	რეპტილიები (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0106 31 00	მტაცებელი ფრინველები	ყველა
0106 32 00	თუთიყუშისებრნი (თუთიყუშების, არასა და კაკადუს ჩათვლით)	თუთიყუშები, გრძელკუდა თუთიყუშები, არასა და კაკადუს ჩათვლით
0106 33	სირაქლემები; ემუ (Dromaius novaehollandiae)	ყველა
0106 39	დანარჩენი	ფრინველები, 0105, 0106 3100, 0106 3200 და 0106 33 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა; მოიცავს მტრედებს
0106 41	ფუტკრები	ყველა
0106 49	დანარჩენი	დანარჩენი მწერები, ფუტკრების გარდა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

0106 90 00	დანარჩენი	ყველა სხვა ცოცხალი ცხოველი, რომლებიც არ შედიან სხვა სასაქონლო პოზიციაში, ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და რეპტილიების გარდა. მოცემულ სასაქონლო პოზიციაში შედიან ცოცხალი ბაყაყები, იმის მიუხედავად, არიან ისინი ვივარიუმში ცოცხლად შენახვისათვის, თუ საკლავად ადამიანის მოხმარებისთვის
02 ჯგუფიდან	**ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები**	
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული	ყველა
0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული	ყველა
0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული:	ყველა
0208 10	ბოცვრებისა და კურდღლების	ყველა
0208 30 000 00	პრიმატების	ყველა
0208 40	ვეშაპების, დელფინებისა და ზღვის გოჭების (Cetacea რიგის ძუძუმწოვრების); ლამანტინებისა და დიუგონების (Sirenia რიგის ძუძუმწოვრების); სელაპების, ზღვის ლომების და ლომვეშაპების (Pinnipedia რიგის ძუძუმწოვრების)	ყველა
0208 50 000 00	რეპტილიების (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0208 60 000 00	აქლემების და სხვა აქლემებისნაირების (Camelidae)	ყველა
0208 90	დანარჩენი:	
0208 90 100 00	--შინაური მტრედების	ყველა
	– – ნანადირევის, ბოცვრების ან კურდღლების გარდა:	ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

0208 90 200 00	— — — მწყერების	ყველა
0208 90 400 00	— — — დანარჩენი	ყველა
0208 90 550 00	— — ხორცი სელაპების	ყველა
0208 90 600 00	— — ჩრდილოეთის ირმების	ყველა
0208 90 700 00	— — ბაყაყის თათები	ყველა
0208 90 950 00	— — დანარჩენი	ყველა
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისა ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან	ყველა მოიცავს ხორცს, ხორცის პროდუქტებს და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს. მოიცავს დამუშავებულ ცხოველურ ცილას და გამხმარ (ხმელ) ღორის ყურებს ადამიანის მოხმარებისთვის. ძვლები ადამიანის მოხმარებისათვის განსაზღვრულია სასაქონლო კოდით 0506; ძეხვი შედის 1601 00 სასაქონლო კოდში; ხოხოზიკი შედის 2301 სასაქონლო კოდში
03 ჯგუფიდან	**თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები**	
0301	ცოცხალი თევზი	ყველა მოიცავს კალმახს, გველთევზებს, კობრს და იმპორტისათვის განკუთვნილ სხვა ნებისმიერი სახეობის თევზებს მოშენებისთვის ან გამრავლებისთვის
	-დეკორატიული თევზი:	
0301 11 000 00	--მტკნარი წყლის თევზი	ყველა
0301 19 000 00	--დანარჩენი	ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

0302	თევზი ახალი ან გაცივებული, თევზის ფილესა და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის სხვა ხორცის გამოკლებით	ყველა მოიცავს ღვიძლს და ქვირითს, ახალს ან გაციებულს სასაქონლო კოდით 0302 90 000 00
0303	თევზი გაყინული, თევზის ფილეს და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ხორცის გამოკლებით	ყველა მოიცავს ღვიძლს და ქვირითს, გაყინულს, სასაქონლო კოდით 0303 90
0304	თევზის ფილე და თევზის ხორცი დანარჩენი (ფარშის ჩათვლით), ახალი, გაცივებული ან გაყინული	ყველა
0305	თევზი ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში: თევზი ცივად ან ცხლად შებოლილი; თევზის ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები, საკვებად ვარგისი	ყველა მოიცავს სხვა თევზის პროდუქტებს, როგორებიცაა, ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები, საკვებად დამზადებული. მოიცავს თევზის თავებს, კუდებს და სხვა მეთევზეობის პროდუქტებს
0306	კიბოსნაირნი, ბაკანში ან ბაკნის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; კიბოსნაირნი შებოლილი, ნიჟარით ან	ყველა
	ნიჟარის გარეშე, რომელმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; კიბოსნაირნი ბაკანში, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, გაცივებული ან გაუცივებელი, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები კიბოსნაირებისაგან, საკვებად გამოსაყენებლი	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

0307	მოლუსკები, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; მოლუსკები შებოლილი, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, რომელებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები მოლუსკებისგან, საკვებად გამოსაყენებელი	მოიცავს მოლუსკებს მოხარშულსა და შემდეგ შებოლილს. სხვა მოხარშული მოლუსკები შედის 1605 სასაქონლო კოდში.
0308	წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში; წყლის სხვა უხერხემლოები, განსხვავებული კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან, შებოლილები, რომლებმაც შებოლვის პროცესში განიცადა ან არ განიცადა სითბური დამუშავება; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები წყლის სხვა უხერხემლოებისაგან, საკვებად გამოსაყენებელი	ყველა
04 ჯგუფიდან	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი	
0401	რძე და ნაღები, შეუსქელებელი და შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატების გარეშე	ყველა რძე: მოიცავს უმ (დაუმუშავებელ) რძეს, პასტერიზებულს, ან თერმულად დამუშავებულს, მათ შორის, გაყინული. მოიცავს რძის ფრაქციებს. რძე ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი არის დაფარული ამ სასაქონლო პოზიციით, ხოლო ცხოველის საკვები რძის შემცველობით დაფარულია სასაქონლო კოდით 2309. რძე თერაპიული/ პროფილაქტიკური მიზნებისათვის არის დაფარული სასაქონლო კოდით 3001
0402	რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრის ან	ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით	მათ შორის, რძე ახალშობილებისთვის
0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	ყველა მოიცავს ნაღებს (კრემს), არომატიზებულს ან ხილის შემცველს, გაყინულ და ფერმენტირებულ რძეს, ადამიანის მოხმარებისთვის (საკვებად). ნაყინი არის დაფარული სასაქონლო კოდით 2105 00. სასმელები რძის შემცველი, კაკაოს ან სხვა ნივთიერებების დამატებით, დაფარულია სასაქონლო კოდით 2202
0404	რძის შრატი, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე; პროდუქტები რძის ნატურალური კომპონენტებისაგან, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	ყველა მოიცავს რძის პროდუქტებს ჩვილი ბავშვებისათვის. მოიცავს სასაქონლო კოდს 0404 10 480 00 - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხსენი, თხევადი ფორმით, ცხიმგამოცლილი და კაზეინის გარეშე, ადამიანის საკვებად, ხოლო სასაქონლო კოდი 0404 90 210 00 - სწრაფად გამომშრალი ხსენი შემცირებული ცხიმით, ფხვნილი კაზეინის გარეშე, ადამიანის მოხმარებისთვის
0405	კარაქი და რძის სხვა ცხიმები და ზეთები; რძის პასტები	ყველა მოიცავს რძის პასტებს
0406	ყველი და ხაჭო	ყველა
0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული	ყველა
	– ინკუბირებისათვის:	ყველა
0407 11 000 00	შინაური ქათმის, (Gallus domesticus):	ყველა
0407 19	დანარჩენი:	ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	– კვერცხი ახალი, დანარჩენი:	ყველა
0407 21 000 00	შინაური ქათმის (Gallus domesticus):	ყველა
0407 29	დანარჩენი:	ყველა
0407 90 000 00	– დანარჩენი	სხვა კვერცხი ადამიანის საკვებად ვარგისი ან გამოუსადეგარი
0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე	ყველა მოიცავს კვერცხის პროდუქტებს, რომლებიც არის ან არ არის სითბურად დამუშავებული და არ გამოიყენება ადამიანის მოხმარებისათვის
0504 00 000 00	ცხოველების (თევზების გარდა) ნაწლავები, ბუშტები და კუჭები, მთლიანი ან ნაჭრებად, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, ხმელი ან	ყველა მოიცავს კუჭებს, ბუშტებს და ნაწლავებს გაწმენდილს, დამარილებულს, გამხმარს ან თერმულად დამუშავებულს,

	შებოლილი	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ან ფრინველის წარმოშობის
0511 10 000 00	- ხარის სპერმა	ყველა
0511 91	-- თევზის, კიბოსნაირების, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოების პროდუქტები; დავარდნილი ცხოველები 03 ჯგუფიდან	ყველა თევზის ნარჩენების გარდა (სეს ესნ კოდი 0511 91 100 00), თევზის განაყოფიერებული ქვირითი, თევზის კრიოდაკონსერვებული სპერმა
0511 99 85	დანარჩენი	თუთის აბრეშუმხვევიას გრენა, ემბრიონები, სპერმა, რომელიც არ არის დაფარული 0511 10 სასაქონლო კოდით
1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა კვების პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე	ყველა მოიცავს სხვადასხვა ფორმის ხორცის დაკონსერვებულ პროდუქტებს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

30 ჯგუფიდან	ფარმაცევტული პროდუქცია	
3002	სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა, მომზადებული თერაპიული, პროფილაქტიკური ან დიაგნოსტიკური მიზნებით გამოსაყენებლად; იმუნური შრატები და სისხლის დანარჩენი ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით; ვაქცინები, ტოქსინები, მიკროორგანიზმების კულტურები (საფუარების გარდა) და ანალოგიური პროდუქტები:	
3002 10 100 00	იმუნური შრატები	იმუნური შრატები, სისხლის სხვა ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები, როგორც მოდიფიცირებული ასევე მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით. იმუნური შრატები მხოლოდ ცხოველური წარმოშობის. გამორიცხავს მზა სამკურნალო პროდუქტებს განკუთვნილს საბოლოო მომხმარებლისათვის
3002 10 910 00	ჰემოგლობინი, სისხლის გლობულინები და შრატის გლობულინები	როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით. მხოლოდ ცხოველისგან მიღებული მასალა
3002 10 990 00	დანარჩენი	სისხლის ფრაქციები და იმუნოლოგიური პროდუქტები,
		როგორც მოდიფიცირებული, ასევე, მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით-ადამიანური წარმოშობის გარდა. მხოლოდ ცხოველისგან მიღებული მასალა
3002 90 300 00	ცხოველების სისხლი, დამზადებული პროფილაქტიკური, თერაპიული ან დიაგნოსტიკური მიზნებისათვის	ყველა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

41 ჯგუფიდან	დაუმუშავებელი ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და გამოქნილი ტყავი	
4101	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით) ან ცხენების ოჯახის ცხოველების დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება მხოლოდ ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ, ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
4102	ცხვრისა ან ბატკნის დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), მატყლის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვისა ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული, ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვის ან მატყლის საფარით მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლურის და ტიბეტურის ჯიშებისა), ღორების (ამერიკული ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლებისა ან ძაღლებისა უნდა ჩაირთოს 41-ე ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება მხოლოდ ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ),

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4103	სხვა დაუმუშავებელი ტყავები (ახალგატყავებული ან დამარილებული, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა წესით დაკონსერვებული, მაგრამ გაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუქნელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე), ბეწვის საფარით ან მის გარეშე, გაყოფილი ან არა	გარდა ტყავები ბეწვისა ან მატყლის საფარით, დაუმუშავებელი, გათრიმლული, ან გამოქნილი (ჯგუფი 43); მაგრამ დაუმუშავებელი ტყავები ბეწვისა ან მატყლის საფარით მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით), ცხენების, ცხვრების ან ბატკნების (გარდა ასტრახანის, დუმიანის, კრაველის, სპარსული და ანალოგიური ჯიშებისა, აგრეთვე, ინდური, ჩინური, მონღოლური ან ტიბეტური ჯიშებისა), თხებისა და ციკნების (გარდა იემენის, მონღოლურის და ტიბეტურის ჯიშებისა), ღორების (ამერიკული, ველური ღორების ჩათვლით), არჩვების, ქურციკების, ჩრდილოეთის ირმების, ლოსების, ირემლაღების, შვლებისა ან ძაღლებისა უნდა ჩაირთოს 41-ე ჯგუფში. ვეტერინარული კონტროლი ვრცელდება მხოლოდ ახალ, გაცივებულ ან დამუშავებულ ტყავზე, მათ შორის, გამხმარ (გამომშრალ), მშრალდამარილებულ, სველდამარილებულ, ან დაკონსერვებულზე, გარდა სათრიმლავი ან ეკვივალენტური პროცესისა
9508 10 000 00	მოძრავი ცირკები და მოძრავი სამხეცეები	მხოლოდ ცოცხალი ცხოველები
9508 90 000 00	დანარჩენი	მხოლოდ ცოცხალი ცხოველები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №195

2018 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის:

1. XXIV თავის შემდეგ დაემატოს XXIV[1] თავი შემდეგი რედაქციით:

„თავი XXIV[1]

საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი

მუხლი 92[1]. ამ თავის რეგულირების სფერო

1. წინამდებარე თავით რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 4[1] ნაწილის საფუძველზე საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი (ამ თავის მიზნებისათვის, შემდგომში –წესი).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ეს წესი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით.

3. ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო ორგანოს წარმოეშვა უფლებამოსილება გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაზრო ფასი არ გამოიყენება, თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი არაუმეტეს 10%-ით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

მაგალითი 1.

შემოწმებით დადგინდა, რომ გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში ბალანსზე 100 000 ლარის საბალანსო ღირებულებით ერიცხება შენობა-ნაგებობა, რომელიც არ გადაფასებულა ბოლო 3 წლის განმავლობაში. პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც ასახულია აღნიშნული ქონების შესახებ მონაცემები.

შეფასება:

ვინაიდან ქონება არ იყო გადაფასებული ბოლო 3 წლის განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს, ამ ინსტრუქციის 922 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, უფლება აქვს საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით, რომელმაც შეადგინა 110 000 ლარი.

*ამასთან, ვინაიდან უძრავი ქონების საბაზრო ფასი მის საბალანსო ღირებულებას 10%-ით არ აღემატება (110 000-100 000)/110 000*100=9%), საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრი ქონების მიმართ საბაზრო ფასის გამოყენება არ მოხდება.*

5. ამ წესის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 4^1 ნაწილის საფუძველზე, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით მხოლოდ უძრავ ქონებასთან (გარდა მიწისა) მიმართებაში, გარდა ამ ინსტრუქციის 92^2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობების დაცვით, დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასსა და დადგენილი წესით განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობაზე ქონების გადასახადის ძირითადი თანხის დარიცხვის შემთხვევაში:

ა) დარიცხული ქონების გადასახადის ძირითადი თანხა პირისათვის გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;

ბ) პირს აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან;

გ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, წესი არ ვრცელდება:

ა) საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას გადაფასების მეთოდის გამოყენებით აღრიცხავს და აქვს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. ამასთანავე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე;

გ) იმ შემთხვევაზე, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის შესაძლებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 4^1 ნაწილში მითითებული საფუძვლის გარეშე (მაგალითად: ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონების ღირებულება; ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის აღურიცხველობის გამოვლენა; გადამხდელთან არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაციით დაბეგვრის ობიექტის საბალანსო ღირებულების განსაზღვრის შეუძლებლობა და ა. შ.);

მაგალითი 2.

საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახადის გადამხდელთან გამოვლინდა დასაბეგრი ქონება (დანადგარი და შენობა-ნაგებობა), რომელიც დადგენილი წესით არ არის ბალანსზე აღრიცხული და შესაბამისად დეკლარაციაში ასახული.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს აღურიცხველი ქონება შეუფასოს საბაზრო ფასით ამ წესით დადგენილი შეზღუდვების გაუთვალისწინებლად. აღნიშნული არ ჩაითვლება სსკ-ის 202-ე მუხლის 41 ნაწილის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებად. ამ შემთხვევაში ქონების საბაზრო ღირებულება ჩაითვლება მის საბალანსო ღირებულებად, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა დადგენილი წესით ბალანსზე აღრიცხვის შემთხვევაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შესაბამისად, შესამოწმებელ პერიოდში შესაბამისი სავადო თარიღების მიხედვით დასაბეგრი ქონების (მათ შორის, მოძრავი ქონების – დანადგარის) საბაზრო ღირებულებაზე პირს დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა, დაეკისრება ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისთვის და საურავი გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.

მაგალითი 3.

გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში ბალანსზე ერიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა 10 000 ლარის საბალანსო ღირებულებით. პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც ასახულია აღნიშნული ქონების შესახებ მონაცემები. საგადასახადო შემოწმებით დგინდება, რომ დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები მნიშვნელოვნად აღემატება მის საბალანსო ღირებულებაში ასახულ მონაცემებს. ამასთან, გადასახადის გადამხდელს არ გააჩნია ფაქტობრივად მის მიერ გაწეულ (სახეზე არსებულ) ხარჯებზე სათანადო შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ქონების (დაუმთავრებელი მშენებლობის) საბალანსო ღირებულების დადგენა.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შემთხვევა, როდესაც გადასახადის გადამხდელის ქონების საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას დაშვებულია დოკუმენტური შეუსაბამობა, რის შედეგადაც ქონების საბალანსო ღირებულება არასწორია.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ხარჯის გაწევის ფაქტი, თუმცა არ არსებობს ხარჯის გაწევის დამადასტურებელი შესაბამისი ბუღალტრული ჩანაწერები, საგადასახადო ორგანო ვერ შეძლებს გადამხდელს დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება განუსაზღვროს სააღრიცხვო ჩანაწერებით.

მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით. ამასთან, აღნიშნული არ ჩაითვლება სსკ-ის 202-ე მუხლის 4[1] ნაწილის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებად.

შესაბამისად, შემოწმებით დადგენილ ქონების ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობაზე პირს დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა შესაბამისი სავადო თარიღების მიხედვით, დაეკისრება ჯარიმა საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისთვის და საურავი გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მიწაზე.

მუხლი 92[2]. შემთხვევები, როდესაც დასაბეგრი ქონების ღირებულება არ განისაზღვრება საბაზრო ფასით

საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება საგადასახადო ორგანოს მიერ არ განისაზღვრება საბაზრო ფასით შემდეგ შემთხვევებში:

ა) დაუმთავრებელ მშენებლობაზე;

ბ) ქონებაზე, რომელთან მიმართებაშიც გადასახადის გადამხდელი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, სარგებლობს ქონების გადასახადის ნაწილში საგადასახადო შეღავათით;

გ) დასაბეგრ ქონებაზე, რომელიც გადაფასებულია არანაკლებ 3-წლიანი პერიოდულობით და გადაფასება (საბაზრო შეფასება) სრულად მოიცავს შესამოწმებელ საგადასახადო პერიოდებს (წლებს);

დ) დასაბეგრ ქონებაზე, რომელიც გადასახადის გადამხდელის მიერ შეძენილია შესამოწმებელ პერიოდში;

ე) კაპიტალში შენატან დასაბეგრ ქონებაზე, რომელიც შეტანამდე გადაფასებული იქნა წინა მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ და ასეთი გადაფასებიდან ჯამურად არ არის გასული 3 წელი.

მაგალითი 1.

2018 წელს ჩატარდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმება. შესამოწმებელი პერიოდი ქონების გადასახადის ნაწილში განისაზღვრა 2015, 2016, 2017 საგადასახადო წელი. შემოწმებით დადგინდა, რომ 2016 წელს პარტნიორის მიერ საწარმოს კაპიტალში შეტანილია შენობა-ნაგებობა შენატანის განხორციელების მომენტისათვის პარტნიორთან არსებული საბალანსო ღირებულებით.

ამასთან, ქონების წინა მესაკუთრისგან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ქონების ბოლო გადაფასება განხორციელდა 2015 წელს (კაპიტალში შეტანამდე).

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ქონების ბოლო გადაფასებიდან ჯამურად არ არის გასული 3 წელი, საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრი ქონების მიმართ საბაზრო ფასის გამოყენების საკითხი არ დგება.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. 112-ე მუხლის 26-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 27-ე პუნქტი:

„27. ამ ინსტრუქციის XXIV[1] თავის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ საგადასახადო შემოწმების მიმართ, რომელზეც მისი ამოქმედების მომენტისათვის საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ არ არის მიღებული გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №190

2018 წლის 16 მაისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 48[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მაგალითი 27“:

„**მაგალითი** 27. 2017 წლის 25 თებერვალს დღგ-ის გადამხდელი საწარმოები - შპს X და შპს Y შეთანხმდნენ საქონლის მიწოდების თაობაზე. გამყიდველმა აიღო ვალდებულება, 2017 წლის 1 სექტემბრამდე მყიდველისათვის მიეწოდებინა სხვადასხვა დასახელების საოფისე ინვენტარი, რომლის საკომპენსაციო თანხა შეადგენს 5900 ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

შპს Y-მა 2017 წლის 5 მარტს წინასწარ განახორციელა სრული საკომპენსაციო თანხის (5900 ლარის ოდენობით) ანაზღაურება, ხოლო შპს X-ის მიერ თანხის მიღების თვეში გამოწერილ იქნა ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ამავე (მარტის) თვის დეკლარაციით დაბეგრილ იქნა დღგ-ით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქონლის მიწოდებამდე, 2017 წლის 10 აპრილს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, შპს X-მა განიცადა რეორგანიზაცია, მას გამოეყო შპს K. შპს X-ის მიერ შპს Y-ის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები გადანაწილდა შპს X-სა და რეორგანიზაციის (გამოყოფის) შედეგად შექმნილ საწარმოზე თანაბრად. შესაბამისად, თითოეულთან ავანსის თანხამ შეადგინა 2950 (მათ შორის, დღგ – 450 ლარი) – 2950 (მათ შორის, დღგ – 450 ლარი) ლარი.

რეორგანიზაციის თარიღის შესაბამისად, შპს X-მა განახორციელა წინასწარ მიღებული საქონლის საკომპენსაციო (ავანსის) თანხის კორექტირება და აპრილის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციით ბრუნვის კორექტირების შედეგად შეიმცირა დარიცხული დღგ-ის თანხის ნაწილი, 450 ლარის ოდენობით. ამასთან, შპს X-მა განახორციელა გამოწერილი ავანსის საგადასახადო ანგარიშფაქტურის კორექტირება. ხოლო შპს K-მ ვალდებულების ფარგლებში წინასწარ მიღებული საქონლის საკომპენსაციო თანხა – 2950 ლარი ასახა დღგ-ის დეკლარაციაში და აღნიშნულ თანხაზე გამოწერა ავანსის საგადასახადო ანგარიშფაქტურა (შპს K-ს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის (რეორგანიზაციით) თარიღიდანვე წარმოეშვა).

შეფასება:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 56-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „საწარმოს/ორგანიზაციის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე საწარმოს/ორგანიზაციის გამოყოფისას გამოყოფილ საწარმოზე (საწარმოებზე)/ორგანიზაციაზე (ორგანიზაციებზე) ვრცელდება ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები.“. ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საწარმოს/ორგანიზაციის რამდენიმე საწარმოდ/ორგანიზაციად გაყოფისას თავდაპირველი საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულების უფლებამონაცვლეებად ითვლებიან გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები/ორგანიზაციები“.

ვინაიდან, რეორგანიზაციისას ნაკისრი ვალდებულებები გადანაწილდა შპს X-სა და გამოყოფილ შპს K-ს შორის, შპს X-ის მიერ საქონლის მიწოდებამდე წინასწარ მიღებული საქონლის საკომპენსაციო თანხის ნაწილი ექვემდებარება კორექტირებას/შემცირებას, იმ ფარგლებში, რაზედაც შპს X-ს აღარ წარმოეშობა საქონლის მიწოდების ვალდებულება, ხოლო შპს K-ს ეთვლება აღნიშნული საკომპენსაციო თანხის საქონლის მიწოდებამდე მიღებად და აღნიშნული თანხა რეორგანიზაციის განხორციელების საანგარიშო თვის (აპრილის) მიხედვით დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

23.05.2018

2018 წლის 23 მაისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 61 130 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.680 პროცენტით, მაქსიმალური 7.760 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.716 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 8.125 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

25.05.2018

2018 წლის პირველი მაისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 627.2 მილიონი ლარით, ანუ 1.8 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 0.8 პროცენტი შეადგინა) და 2018 წლის პირველი მაისისათვის 34.9 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.7 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.4 პროცენტია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com